ბოდლის ბიბლიოთეკები: 2018–2022 წლების სტრატეგია

ცოდნის გაზიარება, მასტიმულირებელი სტიპენდიები ოქსფორდის უნივერსიტეტის ცენტრიდან სწავლის, კვლევისა და ინოვაციების ხელშეწყობის მიზნით, მსოფლიოში ინფორმაციის კურირების, შეგროვებისა და გასაჯაროების გზით

ბოდლის ბიბლიოთეკარის მესიჯი

მეხუთე საუკუნეა, რაც ბოდლი ემსახურება ოქსფორდის უნივერსიტეტსა და მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებას. მან 2017 წელს დასახა ახალი სტრატეგია; ის შეიცვალა 2018 წელს, რათა შესაბამისობაში მოსულიყო უნივერსიტეტის ახალ სტრატეგიულ გეგმასთან (www.ox.ac.uk/about/organisation/strategic-plan). ახალი სტრატეგია ჩამოყალიბდა იმისთვის, რომ ბოდლის ბიბლიოთეკებმა 2018-2022 წლებში მიაღწიონ თავიანთი საქმიანობის სამ ძირითად მიზანს. კერძოდ: 1. უზრუნველყოს ოქსფორდის უნივერსიტეტის დარჩენა აკადემიური სწავლებისა და კვლევების მოწინავე პოზიციაზე მსოფლიოში; 2. ხელი შეუწყოს მსოფლიოს საინფორმაციო და საბიბლიოთეკო საზოგადოებაში ლიდერობისთვის; და 3. უზრუნველყოს ბიბლიოთეკების შეუფერხებელი მუშაობა.

ბოდლი არსებობს, რომ ემსახუროს აკადემიურ საზოგადოებას ოქსფორდში და მის ფარგლებს გარეთ და ისწრაფვის, რომ მისი კოლექციები და მომსახურება დარჩეს ცენტრალური მნიშვნელობის მქონედ მეცნიერების ამჟამინდელი მდგომარეობისთვის ყველა აკადემიურ დისციპლინაში. იგი სულ უფრო მეტად თანამშრომლობს უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან, იქნება ეს კოლეჯის ბიბლიოთეკები და არქივები, აგრეთვე მის კოლეგებთან „გალერეებში, ბიბლიოთეკებში, არქივებში და მუზეუმებში“ (GLAM). გარდა ამისა, ბოდლის მიერ ოქსფორდში შეტანილი ღვაწლის საკვანძო ელემენტი არის მისი ფართო როლი, როგორც მსოფლიოს წამყვანი ბიბლიოთეკისა. ეს სტატუსი ეყრდნობა მისი კოლექციების სიღრმესა და სიფართოვეს, რაც შესაძლებელს ხდის აკადემიურ სწავლებას მსოფლიოს მასშტაბით, ოქსფორდის სამეცნიერო საზოგადოებასა და ბოდლის შორის ღრმა კავშირებით, აგრეთვე საკუთრივ ბიბლიოთეკების პერსონალის კვლევებში დახელოვნებას და დიდ წვლილს აკადემიურ სწავლებაში ყველა დისციპლინაში, რომლებიც ბიბლიოთეკამ შექმნა მთელი თავისი ისტორიის განმავლობაში და დღესაც აგრძელებს ამის კეთებას.

ეს სტრატეგია აღიარებს ბიბლიოთეკას, როგორც სტრატეგიული ინტელექტუალური ლიდერობის მამოძრავებელ ძალას ისეთ მნიშვნელოვან სფეროებში, როგორიცაა ცოდნის შექმნა, გავრცელება და გამოყენება; პედაგოგიკის განვითარება; სასწავლო და კვლევითი დაწესებულებები; ციფრული სწავლება და საზოგადოებრივი საქმიანობა. დაცვა-შენარჩუნების ისტორიული მისია არის გზა უნივერსიტეტში შექმნილი ინფორმაციის შემდგომ წვდომაზე ოქსფორდის კვლევითი საქმიანობის ფარგლებში, ასევე ინფორმაციის უზარმაზარ რაოდენობაზე - წიგნებზე, ჟურნალებზე, ხელნაწერებზე, რუკებზე, მუსიკაზე, ციფრულ მონაცემებზე - მთელი მსოფლიოდან, რაც აუცილებელია განათლებისა და კვლევებისთვის.

ბოდლის როლი ცოდნის დაცვა-შენარჩუნებაში, იქნება ეს ხელის შეწყობა კვლევის კვლავწარმოებასა თუ სწორი და სრული ისტორიული ჩანაწერების უზრუნველყოფაში, აუცილებელია ღია საზოგადოების უზრუნველსაყოფად, და ეს სტრატეგია ხელს უწყობს მისი ციფრული საცავების გაფართოებას. ბოდლეს ასევე მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მასში, რომ საზოგადოებამ ისწავლოს ინფორმაციის გააზრება და გონივრულად გამოიყენება ისეთ სამყაროში, სადაც ინფორმაციის წყაროები არასდროს ყოფილა ასეთი მრავალფეროვანი, რთული და

გაურკვეველი.

ბოდლის როლს უნივერსიტეტის კვლევით ცხოვრებაში ექნება გადამწყვეტი მნიშვნელობა მომავალ პერიოდში, როგორც კვლევების სასიცოცხლო ციკლის მხარდაჭერაში, მისი შექმნიდან გავრცელებამდე (მათ შორის, ღია წვდომის პროგრამებისა და საჯარო მონაცემების საშუალებით), ასევე ბოდლეს ფიზიკური და ციფრული კოლექციების გარშემო თავმოყრილი, უნივერსიტეტის კვლევითი კულტურის განვითარებაში.

ეს სტრატეგია შემუშავებულია ბიბლიოთეკების დასახმარებლად, რათა ფართო საზოგადოებასთან უფრო მჭიდროდ ითანამშრომლონ თავიანთი კოლექციებით, გახადონ ისინი უფრო იოლად ხელმისაწვდომი და ხილვადი (მეტამონაცემების შექმნა, აღმოჩენა და გაციფრება) საზოგადოების კვლევებში ჩართულობის საშუალებით (გამოფენები, საზოგადოებრივი პროგრამები და ციფრული პროგრამული უზრუნველყოფები), ან სხვა ორგანიზაციებთან და ინსტიტუტებთან პარტნიორობის საშუალებით.

დაბოლოს, ეს სტრატეგია კვლავაც ხაზს უსვამს ინვესტიციების განხორციელების მნიშვნელობას ბოდლეს პერსონალის განვითარებისა და ტრენინგებისთვის, ახალი უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და ინოვაციების ხელშეწყობისთვის. ბოდლეს ობიექტების, შენობების, ფინანსების და ორგანიზაციული მოწყობის ეფექტური გამოყენება მნიშვნელოვანი კომპონენტია იმის უზრუნველსაყოფად, რომ ბოდლის ბიბლიოთეკებმა მომავალშიც გააგრძელონ მუშაობა ოქსფორდში და მის ფარგლებს გარეთ აკადემიური სწავლების სასარგებლოდ.

ბიბლიოთეკა როგორც პარტნიორი

მკვლევრებთან, აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან თანამშრომლობა შინაარსის (კონტენტის) შექმნისა და მიწოდების მიზნით

განათლების მხარდაჭერა

ბოდლი თვალსაჩინოდ გაზრდის მისი ბიბლიოთეკების უნიკალური ფიზიკური და ციფრული კოლექციების ხელმისაწვდომობას სწავლების მიზნებისთვის და გააძლიერებს თანამშრომლობას აკადემიური სფეროს მასწავლებლებთან სხვადასხვა სფეროებში; შეიმუშავებს ბიბლიოთეკაზე ორიენტირებულ სწავლებასა და დამხმარე რესურსებს და უზრუნველყოფს ბიბლიოთეკის კოლექციების ხელმისაწვდომობას სასწავლო პროცესებისთვის; მიაწვდის მრავალრიცხოვან რესურსს სწავლისთვის, მათ შორის ინტერნეტში კონტენტის მიწოდების გაზრდით და წასაკითხად ხელმისაწვდომი რესურსების გაფართოებული სერვისებით; ჩადებს ინვესტიციებს ელექტრონულ რესურსებში, რათა ისინი ხელმისაწვდომი გახდეს სტუდენტებისთვის.

ღია სწავლება

საკუთარ თავზე ლიდერის როლის აღებით უნივერსიტეტში, ბოდლი უპირატესობას მიანიჭებს ღია წვდომისა და მონაცემთა ღიაობის მხარდაჭერას ***კვლევების შეფასების ჩარჩოს (REF)*** საფუძველზე, სისტემის მოდერნიზებას და მომსახურების გაუმჯობესებას. ასევე მხარს დაუჭერს კვლევითი მონაცემების მართვას და ინვესტიციებს ჩადებს უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობისა და ღია ხასიათის მზარდ სფეროში.

მონაცემ-ინტენსიური სწავლება

ბოდლი განავითარებს ციფრული სწავლების ცენტრს, როგორც ჰაბს, რომელიც გააერთიანებს ბოდლის კოლექციებს ინოვაციურ ციფრულ ტექნოლოგიებთან, მათი ეფექტურად გამოყენების მიზნით სწავლების, სწავლის, კვლევისა და საზოგადოებრივ საქმიანობაში; აგრეთვე უზრუნველყოფს ცენტრის მხარდაჭერას განახლებად კვლევებსა და მისი კოლექციების ღიად გამოყენებაში.

საზოგადოების ჩართვა კვლევებში

ბოდლი დაამყარებს მჭიდრო ურთიერთობებს საგნობრივ ბიბლიოთეკარებსა და კვლევის ფასილიტატორებს შორის უნივერსიტეტის მასშტაბით და მოძებნის მათი ერთობლივი მუშაობის ახალ შესაძლებლობებს, რომ მიზიდოს საზოგადოება ყველა მიმართულების კვლევებში.

პარტნიორობა კოლეგებთან

ბოდლი შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას შემდგომი თანამშრომლობისთვის მისსა და კოლეჯის ბიბლიოთეკებსა და არქივებს შორის.

კოლექციები

მსოფლიო დონის კოლექციების გასაჯაროება მკვლევრებისთვის, სტუდენტებისთვის და სხვებისთვის მთელი მსოფლიოს მასშტაბით

არქივებისა და ხელნაწერების / სპეციალური კოლექციების გასაჯაროება

ბოდლი გაზრდის მის უნიკალურ საარქივო და ხელნაწერების ფონდებზე წვდომას, გამოავლენს მათ პოტენციალს კვლევების, სწავლისა და სწავლებისთვის, სპეციალური კოლექციების მასალების მიგნებისა და ონლაინ შეკვეთების თანამედროვე სისტემების აღჭურვის გზით; აქამდე ხელმიუწვდომელ კოლექციებს გახდის ხელმისაწვდომს მათი კატალოგირების გზით. მოძველებულ, ბეჭდურ კატალოგებს გადაიტანს ციფრულ ფორმატში, საკატალოგო აღწერილობებს ჩართავს ადვილად ძიებად ციფრულ ჩანაწერებში.

ციფრული კონტენტი კვლევებისა და განათლებისთვის

ბოდლი მოიძიებს დაფინანსებას დამატებითი კონტენტისთვის, გაზრდის ყველა კატეგორიის ელექტრონული რესურსის მარაგს და უზრუნველყოფს, რომ უნივერსიტეტს გააჩნდეს ონლაინ კვლევითი რესურსები, რომლებიც იქნება საუკეთესო ბრიტანეთში და ტოლს არ უდებდეს აშშ-ს საუკეთესო ინსტიტუტებს; ითანამშრომლებს სხვა სავალდებულო დეპოზიტის მქონე ბიბლიოთეკებთან, რომ გაზარდოს და ხელი შეუწყოს არაბეჭდვად სავალდებულო ერთეულებზე წვდომას, ციფრული რუკების, მუსიკალური ნოტებისა და ახლადშექმნილი ფორმატების გაცნობით.

ბიბლიოთეკის მართვის სისტემა

ბოდლი შეისწავლის და დანერგავს ბიბლიოთეკის მართვის ახალ სისტემას უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით, რომ მისი კოლექციები გახდეს უფრო ადვილად მოძიებადი, გააუმჯობესებს მის საქმიანობასა და კონტენტის მოპოვებისა და მიწოდების პროცესის ეფექტურობას.

ციფრული კოლექციების ხელმისაწვდომობა

ბოდლი გარდაქმნის მისი ყველა კოლექციის გლობალურ ციფრულ ხელმისაწვდომობას, GLAM-ის („გალერეები, ბიბლიოთეკები, არქივები და მუზეუმების“) ციფრული სტრატეგიის კონტექსტში, განაახლებს ციფრულ Bodleian 2.0–ს და კვლავაც გააგრძელებს მისი, როგორც ციფრული კოლექციების ცენტრალური, ხელშესახები ჰაბის, გაუმჯობესებას.

საბიბლიოთეკო სივრცეები და ინფრასტრუქტურა

ფიზიკური და ციფრული სივრცეების ზრდა მკითხველთა სწრაფად ცვალებადი მოთხოვნილებების უზრუნველსაყოფად

საბიბლიოთეკო სივრცეები

ბოდლი კონსულტაციებს გამართავს მომხმარებლებთან დისციპლინათშორისი ჰუმანიტარული ბიბლიოთეკის წარსადგენად, რაც გაზრდის ხელმისაწვდომობას მასალებზე, დახმარებასა და განსწავლულობაზე; ითანამშრომლებს აკადემიურ განყოფილებებთან და GLAM-ის („გალერეები, ბიბლიოთეკები, არქივები და მუზეუმების“) ინსტიტუტებთან, რომ შექმნას ხელახლა გააზრებული რედკლიფის სამეცნიერო ბიბლიოთეკა (RSL) და კოლექციების კვლევის ცენტრი, როგორც უნივერსიტეტის ახალი კოლეჯის ნაწილი, რომელიც განთავსდება რედკლიფის სამეცნიერო ბიბლიოთეკის შენობაში; GLAM კოლექციების საცავის სტრატეგიის ფარგლებში უზრუნველყოფს ოპტიმალურ საცავს წიგნთსაცავის (BSF) მოცულობის გაზრდით.

გარემოსდაცვითი მდგრადობა

ბოდლი მიყვება მწვანე ინიციატივას ოქსფორდის უნივერსიტეტის მდგრადი განვითარების ფართომასშტაბიანი პოლიტიკის შესაბამისად, ეფექტურობის გაზრდის, რესურსების ეკონომიისა და ბიბლიოთეკების ეკოლოგიური მდგრადობის მიზნით.

ციფრული ინფრასტრუქტურა

ბოდლი უნივერსიტეტის სხვა სივრცეებთან და კერძოდ, GLAM პარტნიორებთან თანამშრომლობით შექმნის გაფართოებად, მოქნილ, სარეზერვო დაცვის ინფრასტრუქტურას, რომ ფლობდეს ბოდლეს ბიბლიოთეკების ყველა ციფრულ რესურსს.

წვდომა, ურთიერთობები და პოპულარიზაცია

კოლექციებზე წვდომის გაზრდა და დიდი აღმოჩენებისა და საქმიანობის ხელშეწყობა

სამუშაო საათები

ბოდლი გააუმჯობესებს ხშირი სარგებლობის ცენტრ-ბიბლიოთეკებზე წვდომას სამუშაო საათების გაზრდის გზით, რათა უკეთ დააკმაყოფილოს მომხმარებლების, განსაკუთრებით მაგისტრანტების და დოქტორანტების საჭიროებები.

მაგისტრანტები და დოქტორანტები

ბოდლი განავითარებს გაფართოებულ სერვისებს, რათა მხარი დაუჭიროს ყველა სფეროში მზარდ მაგისტრანტთა და დოქტორანტთა რაოდენობას, მათი საზოგადოების ზრდის შესაბამისად.

საზოგადოებრივი საქმიანობა

წვდომის გაფართოების საუნივერსიტეტო სტრატეგიის მხარდასაჭერად, ბოდლი წაახალისებს სკოლის მოსწავლეებს იმ ჯგუფებიდან, რომლებიც ამჟამად მცირედ არიან წარმოდგენილი ოქსფორდში, რათა ისინი დაკავდნენ მისი კოლექციებით სკოლების საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და მიწოდების გზით. მუშაობს რა GLAM-ის ინსტიტუტებთან, ბოდლი უკეთ გამოიყენებს არსებულ და ახალი მონაცემებს მისი აუდიტორიის უკეთ იდენტიფიცირებისა და გაგებისთვის, პროგრამირების ინფორმირებისთვის და ახალი, აქამდე ნაკლებად წარმოდგენილი აუდიტორიის მოზიდვისთვის; გადაიყვანს ბოდლის ბიბლიოთეკების მომხმარებელზე ორიენტირებულ და აკადემიური ბიბლიოთეკის საიტებს Mosaic WebCMS პლატფორმაზე[1] და გარდაქმნის ციფრულ დასწრებას, რათა ასახოს მისი სხვადასხვა ჯგუფის მომხმარებლების საჭიროებები და ძიების მოდელები.

ბიბლიოთეკების შრომითი რესურსები

ბოდლის პერსონალის განვითარება 21-ე საუკუნის საბიბლიოთეკო ერუდიციის მხარდასაჭერად

პერსონალის განვითარება

ბოდლი გაზრდის მისი პერსონალის განვითარებისთვის სხვადასხვა შესაძლებლობაზე წვდომას; გაითვალისწინებს რა თანამშრომელთა ცვალებად და მრავალფეროვან მოთხოვნილებებს უნარების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და ლიდერობის თვალსაზრისით; შეიმუშავებს გეგმას მის თანამშრომელთა ციფრული უნარების სრულყოფაზე აქცენტირებით.

პერსონალის დივერსიფიცირება

ბოდლი განავითარებს და გაამრავალფეროვნებს ბიბლიოთეკების შრომით რესურსებს, უნივერსიტეტის თანასწორობისა და მრავალფეროვნების განყოფილების სტრატეგიების გათვალისწინებით.

ფინანსები

ხარჯების კონტროლი და დაფინანსების წყაროების დივერსიფიცირება

საქმიანობის ეფექტურობა

ბოდლი განსაზღვრავს პრიორიტეტებს მისი ბიბლიოთეკების საკვანძო სფეროებში, სადაც შესაძლებელი იქნება ეფექტურობის გაზრდა ხარჯების გაკონტროლების გზით, ორგანიზაციის ეფექტურობის ამაღლებისა და უნივერსიტეტის დაფინანსებაზე დამოკიდებულების შემცირების მიზნით; დამატებით გამოიკვლევს, სადაც ეს შესაძლებელია, ტექნიკური სამსახურების ოპერაციების ინტეგრაციას, დიდი მასშტაბის ეკონომიის მისაღწევად და ეფექტურობის გასაუმჯობესებლად; გადახედავს პროცესებს, ბიბლიოთეკის მართვის ახალი სისტემის დანერგვის

[1] Mosaic WebCMS - Oxford Mosaic web content management platform (Oxford Mosaic) - ვებ-კონტენტის მართვის ოქსფორდის მოზაიკური პლატფორმა - კონტენტის განთავსების საშუალებას იძლევა საყოველთაოდ ხელმისაწვდომ ვებ-საიტებზე. ეს პლატფორმა შექმნეს IT-სერვისების სამსახურებმა Drupal-ის ბაზაზე. (დრუპალი არის კონტენტის მართვის სისტემა, რომელიც წარმაოდგენს თავისუფალ პროგრამულ უზრუნველყოფას, და ვითარდება მთელი მსოფლიოს ენთუზიასტების ძალისხმევით). ოქსფორდმა შექმნა მარტივი პლატფორმა, რათა ვებ-კონტენტთან მუშაობის მცირე გამოცდილების მქონე პირებსაც ქონდეთ შესაძლებლობა, შექმნან კარგი ვებ-საიტები, რომლებიც მშვენივრად გამოიყურება მობილურ ტელეფონებში, პლანშეტებში, ნიუთბუქებსა თუ Desktop-კომპიუტერებზე.

პარალელურად; განიხილავს ბოდლის მიმღები ოფისის ყველა მოქმედებას (მათ შორის ეფექტურობას და მომხმარებელთა მომსახურებას) და ონლაინ განაცხადების წარდგენის პროცესის განვითარების პოტენციალს (პირადი მონაცემებისა და დაშვების მართვის პროექტზე მუშაობით).

შემოწირულობები

ბოდლი გაზრდის შემოწირულობების ფონდს მისი ამჟამინდელი ბაზისური 63 მილიონი ფუნტიდან 88 მილიონ ფუნტ სტერლინგამდე, კაპიტალის ზრდისა და დამატებითი სახსრების მოძიების გზით.

შემოსავლები

ბოდლი ირწმუნება, რომ მისი ბიბლიოთეკები ყველა ღონეს იხმარენ, რათა გაზარდონ შემოსავლები კვლევითი საქმიანობიდან და კვლევითი თანამშრომლობიდან.

თარგმანზე იწვალა და ივაგლახა ნინო ყანჩაველმა